„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

# ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მარტი. 2021 * (1)68

## „ონლაინ“ შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერებთან

ამ დღეებში გაიმართა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ბესიკ ამირანაშვილის „ონლაინ“ შეხვედრა რეგიონის მუნიციპალიტეტის მერებთან, სადაც განიხილეს საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეები გერმანიაში სამი თვით ლეგალურად შეძლებენ დასაქმებას, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სექტორში სეზონურ სამუშაოებზე.

გუბერნატორმა მუნიციპალიტეტის მერებს განუმარტა ის პროცედურები, თუ როგორ მოხდება სოფლის მეურნეობის სექტორში საქართველოს მოქალაქეების დასაქმება.

გერმანიაში ლეგალური დასაქმების შესაძლებლობები, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს გერმანელ პარტნიორებთან ერთად, მნიშვნელოვანია იმით, რომ ეს იქნება ახალი შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებისთვის.

საქართველოს მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და გერმანიის დასაქმების ფედერალურ სააგენტოს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, 2021 წლის აპრილიდან შესაძლებელია გერმანიაში, სოფლის მეურნეობის სფეროში სეზონურ სამუშაოებზე, საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმება.

შეთანხმების ფარგლებში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები, გერმანული მხარის მიერ უზრუნველყოფილი იქნებიან უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო პირობებით (მათ შორის „კოვიდ-19“-ის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ყველა ნორმისა და გერმანიაში მოქმედი შრომითი უფლებების გათვალისწინებით).

სეზონური სამუშაოები გერმანიაში 1 აპრილიდან დაიწყება. რეგისტრაციის გავლა უკვე შესაძლებელია და მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

სამუშაოს მაძიებელი პირველად რეგისტრაციას გაივლის სპეციალურ სარეგისტრაციო პორტალზე: http://workabroad.moh.go

ინტერვიუ

## პრობლემებს დავძლევთ, ეს ჩვენი მოვალეობაა!




ბატონო როსტომ,

„ასპინძის სიახლენის“ გამოცემის ორთვიანი პაუზის შემდეგ კიდევ ერთხელ გვიწევს საქმიანი შეხვედრა თქვენთან, – რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს, რისი გაკეთება შეძელით გასულ წელს და რისი ვერა?

– ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გასულ – 2020 წელს, 12 190.8 ათას ლარს შეადგენდა, განხორციელდა 47 ინფრასტრუქტურული პროექტი. ამჟამად დაწყებულია და მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება – გაზიფიცირება 6 სოფელში, კერძოდ, – იდუმალაში, ოშორაში, საყუდაბელში, ორგორაში, ძველსა და ჭობარეთში. აღნიშნული პროექტი ეტაპობრივად მიმდინარეობს და მოიცავს მთელ მუნიციპალიტეტს.

სოციალური პროგრამის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წელს, როგორც სამედიცინო, ასევე სხვა სახის დახმარება გაეწია 547 მოქალაქეს – 271 971.23 ლარის ოდენობით.

„COVID“-19-ის პირობებში, იმ სიკეთეების გარდა, რაც სახელმწიფომ იზრუნა თავისი მოქალაქეებისთვის, სხვადასხვა სერვისების სახით, არც ასპინძის მუნიციპალიტეტი ყოფილა გამონაკლისი, ჩვენ ამ პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, სხვადასხვა ადგილობრივი ბიზნეს წარმომადგენლების, ორგანიზაციების, დაბის და სოფლის ახალგაზრდების ინიციატივით შეგროვილი სასურსათო პროდუქტებით გავუწიეთ დახმარება უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, ონკოლოგიურ ავადმყოფებს, დიალეზზე მყოფ მოქალაქეებს, შშმ 18 წლამდე და მინდობით აღზრდაში მყოფ არასრულწლოვანებს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ ოჯახებს, ხანდაზმულებს (ას და ას წელზე უხნეს ადამიანებს), დევნილებს, ასევე ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს (420 X 3 აღსაზრდელს), რომლებსაც სამ ეტაპად დაურიგდათ სასურსათო პაკეტები.

სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო მუნიციპალიტეტში ყველა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება ჩაიშალა, რის გამოც (დროებით) ვერ შევძელით კულტურის სფეროს წინ წამოწევა.

2021 წელს, როგორც ცივილიზებული სამყარო, ასევე ჩვენი ქვეყანაც და, მათ შორის, ჩვენც, ვიმედოვნებთ ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებას, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ დაგეგმილი მნიშვნელოვანი კულტურული და სპორტული ღონისძიებები აუცილებლად ჩატარდება, შესაბამისად – ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდული ცენტრის მიერ ინტელექტუალური და შემეცნებითი ღონისძიებებიც.

პანდემიამ უდიდესი ზიანი მიაყენა როგორც ქვეყნის ეკონომიკას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ასევე მუნიციპალიტეტის განვითარებას ყველა ასპექტში. შეჩერდა რესტორნების, სასტუმროების, კვებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ფუნქციონირება, რამაც დამატებითი პრობლემები შეუქმნა მოსახლეობას, – ვერ ხერხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ყოველდღიური რეალიზაცია – ბაზრებზე მათი გატანა. თუმცა, ჩვენდა საიმედოდ, მუნიციპალიტეტში არსებული დღევანდელი ეპიდსიტუაცია გვაძლევს საშუალებას, დადგენილი რეკომენდაციების დაცვით, განვახორციელოთ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები.

***– როგორია მიმდინარე წლის ბიუჯეტი, პრიორიტეტები რა მიმართულებაზეა ძირითადად გადატანილი?***

– ასპინძის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტული, ბიუჯეტი წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში. 2021 წლის ბიუჯეტის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ორიენტირებული ვიყოთ შედეგებზე. ნათლად არის განსაზღვრული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის, რაც მიუთითებს საბიუჯეტო რესურსების ეფექტურად გამოყენების პერსპექტივაზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურული პროექტები – (მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია); მათ შორის – საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და რეაბილიტაცია; კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია; კულტურის, განათლების, რელიგიის, ახალგაზრდობისა და სპორტის განვითარებისთვის ხელშეწყობა; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; დასუფთავება და გარემოს დაცვა.

***– მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფარგლებში რა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას აპირებთ და მთლიანობაში რამდენი მილიონი ლარია გამოყოფილი მასზე, პროპორციულად ადგილობრივი შემოსავლების წილი რამდენია და დამატებით ცენტრალური ხელისუფლებიდან რა რაოდენობის სუბსიდიას ელოდებით?***

დასასრული მე–2 გვ.

## მუნიციპალიტეტის საჯიხებულოში

გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, სადაც საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ასპინძის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის განხილვისა და დამტკიცების შესახებ;
3. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
4. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებულ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე;
5. ნადია დიასამიძისათვის დაბა ასპინძაში, ვარძიის ქუჩაზე მდებარე ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთ-

რებაში არსებული ფართიდან, ქირავნობით, პირდაპირი განკარგვის წესით გადასაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;
6. მზია ცინაძისათვის დაბა ასპინძაში, ვარძიის ქუჩაზე მდებარე ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან, ქირავნობით, პირდაპირი განკარგვის წესით გადასაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;
7. ოთარ გოგოლაძისათვის დაბა ასპინძაში, ვარძიის ქუჩაზე მდებარე ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან, ქირავნობით, პირდაპირი განკარგვის წესით გადასაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მაკა ბერიძე

# პრობლემებს დავძლევთ, ეს ჩვენი მოვალეობაა!

პირველი გვერდიდან

– ასპინძის მუნიციპალიტეტში 2021 წელს ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დაგეგმილია მინიმუმ შვიდი პროექტის განხორციელება.

ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობის განკარგულებით დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

1.დაბა ასპინძაში მეფე თამარის, ერეკლე II-ის, რუსთაველის, ტაბიძის ქუჩების და მათი მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია;

2.სოფელ დამალაში – კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

დარჩენილი ხუთი პროექტის დაფინანსების, ან/და ნაწილობრივი დაფინანსების დროს, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი წყალმომარაგება იქნება, როგორც ეს სტრატეგიული გეგმითაა განსაზღვრული.

მთის ფონდიდან ველოდებით ორი მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსებას. აქაც პრიორიტეტი მოსახლეობის ხარისხიანი წყალმომარაგებაა. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, ამ ეტაპზე 5 საჯარო სკოლაში იგეგმება მნიშვნელოვანი პროექტების გახორციელება, კერძოდ – სველი წერტილები, გათბობის სისტემები და სხვა. ბიუჯეტიდან ამ ეტაპზე ასევე იგეგმება დაბა ასპინძასა და სოფელ აწყვიტაში ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა და სხვ.

***– სოფლის განვითარების პროგრამით რის გაკეთებას ფიქრობთ?***

– ჩვენს მოსახლეობას მინდა შევახსენო, რომ რამდენიმეწლიანი წყვეტის შემდეგ აღსდგა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რაც ქვეყნის მასშტაბით წარმატებით ხორციელდებოდა (2019-2020 წლებში). ისიც მინდა შევახსენო, რომ პროგრამა გათვალისწინებულია და ეფექტურია სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის. ამა წლის 8 თებერვლიდან დავიწყეთ და 14 თებერვალს დავასრულეთ სოფლად, ადგილზე მისვლით, საერთო კრებების ჩატარება (მათ შორის ჩავატარეთ 20 საერთო კრება და გავწიეთ სამი საკონსულტაციო მომსახურება). ასევე ანალოგიური შეხვედრები შედგა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში, სადაც მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის დიდმა ნაწილმა და პრიორიტეტები შეირჩა ხმათა უმრავლესობით, იმ პროექტების განსახორციელებლად, რომელსაც პრიორიტეტი მიენიჭა და შესაბამისი ოქმებიც გაფორმდა, ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა დაახლოებით 300 ათასი ლარის ასიგნებანი; საჭიროების შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თანადაფინანსებით, საკრებულოს გადაწყვეტილებით, ფინანსური რესურსის ამდენივეს მობილიზებას შევძლებთ, რითაც ხელს შევუწყობთ შესაბამისი პროექტების განხორციელებას და, შესაბამისად, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ცხადია, პანდემიამ განსაკუთრებული ზარალი მიაყენა ადგილობრივი ბიზნესის განვითარებასაც, მათი ხელშეწყობის მიზნით რა კეთდება მერიაში?

– იმას, თუ რა ზარალი მიაყენა პანდემიამ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, გეტყვით, რომ ნამდვილად ძალზე სამწუხაროა, რაც მსოფლიოს მასშტაბით ხდება და ამაში საქართველოსთან ერთად არც ჩვენი მუნიციპალიტეტია გამონაკლისი, – კერძო სექტორის გაჩერებამ ბევრი მუშა-ხელი დატოვა შემოსავლის გარეშე. ასევე დროებით, მაგრამ მაინც შეჩერებულია ტურისტული ობიექტების ფუნქციონირება, კერძოდ, ვარძია და სხვადასხვა ღირსშესანიშნაობები; ტურისტებისა და ექსკურსანტების სიმცირემ თავისი მძიმე კვალი დაატყო მათ ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ ყველა რეგისტრირებულ თანამშრომლებსა და ბიზნეს ოპერატორებზე გაიცა სხვადასხვა სახის დახმარებები

და გაეწიათ შეღავათები, – მოსახლეობის სასარგებლოდ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

***– აქვე არ შეიძლება არ შეგეკითხოთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან პროექტზე, კერძოდ, სოფელ საროში ძველი მესხური დარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე. პროექტის განხორციელება რატომ შეფერხდა?***

– სოფელ საროში ძველი მესხური დარბაზების რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია რეგიონის მასშტაბით, რაზედაც მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით, ასევე მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტთან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და ინფორმაციების გაცვლა – თუ როდის უნდა მოხდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება. იგი დიდ წვლილს შეიტანს ტურიზმის განვითარების საქმეში. რაც შეეხება პროექტის განხორციელებაში შეფერხებებს, ჩვენი აზრით, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები შეიძლება გახდეს პროექტის განხორციელების გადადების მიზეზი. ხოლო, რაც შეეხება თვით პროექტს, მისი ძირითადი ნაწილი დასრულებულია როგორც არქიტექტურულ, ისე სამშენებლო ნაწილშიც, ამ პროექტის განხორციელება კი ერთმნიშვნელოვნად წაადგება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ და ტურიზმის განვითარების საქმეს.

***– წინა წლებში მუნიციპალიტეტის მერიამ დიდი მუშაობა გასწია როგორც დაბის ქუჩების კეთილმოწყობის, ასევე სოფლებში მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიმართულებით, მაგრამ წლობით არსებული დიდი პრობლემა – დაბაში ხარისხიანი სასმელი წყლის მომარაგება კვლავ მოუწესრიგებელია და მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს. უნდა ველოდოთ თუ არა ამ პრობლემის საბოლოოდ მოგვარებას უახლოეს მომავალში?***

– დიახ, გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება როგორც დაბის, ასევე სოფლებთან და ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულებთან მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოკლე პერიოდში დასრულდება. რაც შეეხება დაბის სასმელი წყლით მომარაგებას, დამაჯერებლად ვიტყვი – 2021-2022 წლებში ასპინძის მუნიციპალიტეტში განხორციელდება წყალმომარაგების პროექტი. იგი თავისი მასშტაბით შეუდარებელია ყველა იმ პროექტთან, რომლებიც განხორციელებულია სასმელი წყლის მიმართულებით დღემდე. პროექტის სახელწოდებაა: „დაბა ასპინძის და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების: იდუმალის, ოშორისა და ოთის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება - მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა“, – ღირებულებით – 6.850.000 ლარი. ცნობისათვის: ტენდერში გამარჯვებული კომპანიაა ,,კომფორტმშენ XXI“. პროექტი ძირითადად თვალისწინებს: არსებული სათავე-ნაგებობის, რეზერვუარების, წყალსადენის მაგისტრალის, საფილტრი, შემრევი და საქლორატორო ნაგებობების მშენებლობას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ასევე გათვალისწინებულია უამრავი სხვადასხვა სამუშაოების შესრულება, რაც წინაპირობაა იმისა, რომ ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ ერთეულებში იქნება 24 საათიანი ეკოლოგიურად სუფთა წყლით მომარაგება. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფალთ განსაკუთრებული მხარდაჭერისათვის.

***– ორიოდე წლის წინ მერიის მიერ გამოცხადდა კონკურსი დაბის კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციოდ. რა მდგომარეობაა ამჟამად ამ მიმართებით?***

– კითხვაზე, თუ რა პროცესშია დაბის კულტურისა და დასვენების პარკის (ე.წ ,,პეტრეს ბაღი„) რეაბილიტაცია, მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ და მერიასთან არსებულმა მრჩეველთა საბჭომ, შეისყიდა და ჩაიბარა კონკურსში გამარჯვებული დაბის კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციო პროექტი, რომელზედაც ამა წლის 1 იანვარს გამოცხადდა ტენდერი, ღირებულებით 2.096.535 ლარი. არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, შესაბამისი პროცედურების გავლის შედეგად, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს ,,გია კონსტრაქშენი“, ღირებულებით – 1.837.933 ლარი. ამ პროექტის განხორციელებით დაბაში იფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით რეაბილიტირებული კულტურისა და დასვენების პარკი, რაც დიდი შენაძენი იქნება მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის.

***– დაბოლოს. რას უნდა ველოდოთ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან კულტურის სამინისტროს ცალკე გამოყოფით მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარების მიმართებით?***

– რაც შეეხება სამინისტროს ორად გაყოფას, არა მგონია მან რაიმე პრობლემები შექმნას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, პირიქით, – გაგრძელდება გეგმით გათვალისწინებული ყველა კულტურული ღონისძიებები, სპორტული აქტივობები, მეტი კონკრეტიკა და ყურადღება იქნება გამახვილებული ჩვენი შესაბამისი სამსახურის თანამშრომლების მიერ ორივე განხრით, რაც ხელს შეუწყობს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეებში ახალგაზრდების მონაწილეობას და ინტეგრირებას მათი შემდგომი განვითარების მიზნით.

გმადლობთ საინტერესო საუბრისა და საგულისხმო ინფორმაციების მოწოდებისათვის.

*ინტერვიუს უძღვებოდა*
***ავთანდილ ბერიძე***

# ახალი გამოწვევების პირისპირ

პანდემიის პერიოდი ახალი გამოწვევებითა და მათზე საპასუხოდ შესაძლებლობების ძიებით გამოირჩევა განათლების სფეროში და, ამ მხრივ, არც ჩვენ ვართ გამონაკლისი.

უპირველესად, ეს გამოიხატება რესურსცენტრის, როგორც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სკოლების დამაკავშირებელი ტერიტორიული რგოლის, ორგანიზებული და ეფექტიანი საქმიანობით საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის.

ყოველდღიურად, უწყვეტ სამუშაო რეჟიმში, კომუნიკაციის ყველა საშუალების გამოყენებით, კავშირი გვაქვს სკოლების ადმინისტრაციის, კათედრების წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, ხშირად – მშობლებთანაც კი.

პანდემიის დაწყებისთანავე, დისტანციური სწავლების საჭიროებებიდან გამომდინარე, მოვიძიეთ ინფორმაცია მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერნეტსა და კომპიუტერულ მოწყობილობებზე წვდომის შესახებ.

სკოლებში შევქმენით მხარდამჭერი ჯგუფები, რომლებიც უშუალოდ ეხმარებოდნენ თითოეულ პედაგოგს, მოსწავლეს, მშობელს „თიმსში“ რეგისტრაციისა თუ სხვა აქტივობების განხორციელების საკითხებში. შეიქმნა გაკვეთილების ახალი ცხრილი, სადაც მითითებული იყო გაკვეთილის ჩატარების დრო და ელექტრონული პლატფორმა თუ საშუალება, რომლითაც ტარდებოდა გაკვეთილები. სკოლებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით ვგეგმავდით და სკოლებს ვაწვდიდით სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის საჭირო აქტივობებს.

„თიმსში“ შევქმენით ჯგუფები დისტანციური შეხვედრებისათვის: ,,ასპინძა-რესურსცენტრი-სკოლები", ,,ინკლუზია-ასპინძის რც",,ასპინძის ონლაინ მხარდამჭერი ჯგუფი" და სხვ.

საჯარო სკოლებს ოპერატიულად ვაწვდით სამინისტროდან მიღებულ სხვადასხვა რეკომენდაციას და მონიტორინგს ვუწევთ მათ შესრულებას.

ვზედამხედველობდით დისტანციური სწავლების შეფასების ელექტრონული კითხვარების შევსება-წარდგენას. პროგრამა „eSchool“-ში ჩაშენებული მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი კითხვარების შევსებას და სხვ.

პანდემია, როგორც გამოწვევა, ახალ შესაძლებლობად იქცა ჩვენი პედაგოგებისთვის, რომელთა დამსახურებაა, რომ დისტანციური სწავლებისას სასწავლო პროცესის მიღმა არ დარჩენილა არცერთი მოსწავლე .

დღეისათვის ჩვენს ტერიტორიულ ერთეულში შემავალ 18-ივე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი დასწრებით, საკლასო ოთახებში მიმდინარეობს. ეს კი გაათმაგებულ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს, როგორც დირექციების, ასევე რესურსცენტრის თანამშრომლებისაგან. პირველ რიგში, ვგულისხმობ საჯარო სკოლებში კოვიდ-ინფექციით დაავადებების ფაქტების გამოვლენისას მდგომარეობის წერტილოვანი მართვისა და საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ სკოლაში სწავლების დისტანციურ მოდელზე გადასვლის გადაწყვეტილების მიღებას.

პანდემიის პირობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სასწავლო პროცესს წარმართავენ „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა-ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების 37-ე დანართის შესაბამისად. აღნიშნული დანართით რეგულირდება სკოლის დასუფთავება-ჰიგიენის დაცვის, სკოლის შენობაში შესვლამდე თერმოსკრინინგის განხორციელების, შენობაში შესვლის, გადაადგილების, დისტანციის დაცვის, პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების, საიზოლაციო ოთახის მოწყობის, პირბადის ტარების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისა და სხვა პროცესები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებლები კი სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლები არიან.

ამა წლის იანვარ-თებერვალში მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში განვახორციელეთ მონიტორინგი. ადგილზე გავეცით რეკომენდაციები, დავეხმარეთ ხარვეზების აღმოფხვრაში. უნდა ითქვას, რომ სამინისტროს უშუალო დახმარებით ყველა სკოლა აღჭურვილია სადეზინფექციო და ჰიგიენის საშუალებებით, თერმოსკრინინგის მოწყობილობით, დეზობარიერებით, პირბადეებით, COVID-19-ის პრევენციისთვის სხვადასხვა თვალსაჩინო მასალებით. სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით დღეისათვის ყველა სკოლაში მოწესრიგებულია სველი წერტილები, რაც წლების წინ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, ყველგან არის წყალი, დასუფთავება ხდება დადგენილი წესის მიხედვით. შეუფერხებლად ხდება მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურება, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით კიდევ ერთი ახალი მარშრუტი დაემატა – ნაქალაქევის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის და ა.შ.

აქტიურად ვთანამშრომლობთ სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებთან, ჯანდაცვის მუნიციპალურ ცენტრთან. საჯარო სკოლების პერსონალი დარეგისტრირებულია ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის პორტალზე labour.moh.gov.ge. დასრულდა ტესტირების პირველი ეტაპიც. იმედის მომცემია ტესტირების ბოლო პერიოდის /2-3 კვირა/ შედეგებიც – სკოლებში არ გვყავს არცერთი კოვიდინფიცირებული პედაგოგი თუ პერსონალი.

ერთი სიტყვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოწვევებს ვუმკლავდებით. უფრო მეტიც, ახალ ნაბიჯებსაც ვდგამთ იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი სკოლებში პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს სამინისტროს მიერ ინიცირებული სხვადასხვა პროგრამებიდან და პროექტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი – ახალი სკოლის მოდელი, რომელშიც ჩვენი 6 საჯარო სკოლაა ჩართული (ნაქალაქევის, ხიზაბავრის, რუსთავის, ოშორის, ივერიის, ტოლოშის). სკოლების წარმომადგენლებთან ერთად ვმონაწილეობთ პროექტის ფარგლებში გამართულ დისტანციურ შეხვედრებსა და „ვებინარებში“, რაც მომავალში კიდევ უფრო საინტერესო და ნაყოფიერი თანამშრომლობის პერსპექტივებს სახავს.

***ტრისტან მურადაშვილი,***
*ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი*

# შეხვედრა სოფელ დამალაში

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ასპინძის მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან შეხვედრები შედეგიანად დასრულდა.

12 თებერვალს, სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, მოადგილემ შალვა ბერძენიშვილმა, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალაში საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს სოფლის მოსახლეობასთან.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მოსახლეობას საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტოს კონკრეტულად თუ რა ინსფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის გამოიყენებს მათი დასახლებისათვის გამოყოფილ თანხას.

დასახლებების საერთო კრებები და კონსულტაციები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართა.

მოსახლეობასთან შეხვედრები, ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, მიმდინარეობს.

# მაღე ოჩგოჩის ახალი სკოლის შენობა ექსპლოატაციაში შევა

უკანასკნელ წლებში, როგორც ქვეყნის, ასევე მუნიციპალურ მასშტაბში დიდი ყურადღება ექცევა მოზარდი თაობის აღზრდისათვის სათანადო პირობების შექმნას.

სამწუხაროდ, რამდენიმე წელია ორგორის საჯარო სკოლის მოსწავლეებს საკუთარი სკოლის შენობის გარეშე უწევთ სწავლა, რაც სკოლის ძველ შენობაში გაჩენილი ხანძრის მიერაა გამწვეული და მისი აღდგენა შეუძლებები გახდა. სკოლის ადმინისტრაციის, რესურსცენტრისა და მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური მხარდაჭერით რამდენიმე თვეა სკოლის ძველი შენობის ადგილზე მიმდინარეობს ახალი სკოლისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს ამ დღეებში ადგილზე მისვლით კიდევ ერთხელ გაეცნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე და მერის მოადგილე ლევან ბერიძე.

ახალი სკოლის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს, რომელიც 60 მოსწავლეზეა გათვლილი და მოემსახურება ორი სოფლის – საყუდაბელისა და ორგორს მოსწავლეებს.

პროექტის ფარგლებში სკოლაში მოეწყობა საკლასო ოთახები, ერთი კლას-ლაბორატორია, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის, ბიბლიოთეკის, კომპიუტერების ოთახები და სველი წერტილები, ასევე კეთილმოეწყობა საქმიანი ეზოს ტერიტორია და სპორტული მოედანი.

სკოლის მშენებლობა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

მშენებლობის დასრულება მიმდინარე წლის მეორე კვარტალშია გათვალისწინებული.

# მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით!

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის მანკიერება პრაქტიკა, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება თავად წყვეტდა, სად, რომელ სოფელში რა უნდა გაკეთებულიყო. შესაბამისად არ იყო გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესები და ხშირად მათ უკმაყოფილებებსაც იწვევდა. თუმცა გამოყოფილი ფინანსური ასიგნებანი სრულად ვერ ასახავდნენ მოსახლეობის მზარდ ინტერესებს, რითაც სოფლისთვის საჭირო ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდებოდა, მაგრამ ამჟამად, ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, რა თანხებიცაა გამოყოფილი, მისი ყაირათიანი გამოყენება სოფლისთვის ბევრს ნიშნავს. ადგილობრივი ხელისუფლება კი მოვალეა, პირველ რიგში, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ის დაკვეთა შეასრულოს, რაც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნაა. ამ მიზნით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელმა პირებმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან ტრადიციული შეხვედრები უკვე გამართეს და მათი განხორციელებისათვის შესაბამის მოშაობასაც შეუდგნენ.

აღნიშნულ შეხვედრებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე, მერის პირველი მოადგილე დავით პაპაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კრებებზე მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს ეყარა კენჭი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, როგორც ითქვა, მოსახლეობას საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტოს კონკრეტულად თუ რა ინსფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის გამოიყენებს მათთვის გამოყოფილ თანხებს.

# აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა

2021 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამაში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0,25 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (გარდა საძოვარის კატეგორიისა), ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას. პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალიწინებულია ერთ ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე – არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გადაცემა.

პროგრამის ბენეფიციარები აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავს, ბაზარზე არსებულთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად იყიდიან. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქიის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება.

ფიზიკური და იურიდიული პირები ფასდაკლების ბარათებს უკვე სოფლის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრში მიუსვლელად მიღებას შეძლებენ. მათ შესაძლებლობა ეძლევათ აგრო-დიზელის ბარათი მიიღონ ონლაინ. თუკი ეწვევიან ამ გვერდს – WWW.MY.MERA.GOV.GE, დარეგისტრირდებიან პირადი მონაცემებით და გაივლიან ავტორიზაციას. შესაბამისად საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრში მონაცემები გაივლის ვალიდაციას პირად გვერდზე, მათ დაუფიქსირდებათ კუთვნილი აგროდიზელის ფასდაკლების ბარათი და მყისიერად შეძებენ დიზელის შეძენას სოკარის ბენზინგასამართ სადგურში.

*ოლღა გერიძე-ველიჯანაშვილი,*

ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის
წამყვანი სპეციალისტი

# ფარსულის ფურცლები

ფოლკლორი

ასპინძის საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ჯგუფი. XX საუკუნის 50-იანი წლები

***

იყო (ერთი) აბდოჲ, იმან შეყარა ჩათა[1] და ის წამოსულა და უთარეშია (ჩვენი სოფელი).

აქავრობის ცხვარი, ძროხა დაუტაცებიან.

და ერთი ჯაფარაჲ და დემოჲ ყოფილან (თათრები). იმათ უთქვიათ, რო ჩვენ უნდა წავიდეთ ფაშასთანო (ქისათიბში ყოფილა ფაშა). პაპაჩემს უთქვია, რო მეც წამოვალო და გზაში უთქვიათ, რო ეს ქართველი კაცი ფაშამ რო დაიჭიროსო, როგორ უნდა დავბრუნდეთ უკან, ეს ბერი კაცი (რო) დავაჭერინოთო.

უთქვიათ: – ივანე, უკან დაბრუნდიო.

– არა, წამოვალო.

მისულან, თამანა[2] უქნიათ. პაპაჩემსაც თამანა უქნია. ფაშას უთქვია: თქვენ მოხველით, ეს ქართველი რაღა�ო? მერე მისულა პაპაჩემი, თამანი მიუცია და უთქვია: ეს აბდოჲ მოსულა, ორდი[3] შეუკრია და არაფერი დაგვიტოვაო, გვაოხრებსო.

ეს ფაშა ძალიან გაჯავრებულა. ქართველი უფრო მიჭირამსო, როგორ თუ ქართველებს ეგრე ართმევს. ის აბდოჲ ეხლავე დამიჭირეთო.

უკან რო წამოსულან, აბდოსთვის საქონელი წაურთმევიათ.

მერე იმ ზაფხულ მაინც ვერ გავჩერდით, გადავედით ჯავახეთში.

მთქმელი *ვასილ ზედგინიძე*,
109 წლის, სოფელი ზველი.

**ქეშიშ ჲოლი**

(მღვდლის გზა)

თაგორიანი ღრმა ადგილია. ძველად აქ თურმე ჩუმათ ერკოტაში საწირავათ მიდიოდა ღვდელი. წინ მოუძღოდა ერკოტელი გლეხი ნიკოლოზ ტივაძე. შეხვედრია თათრების ჩათა (ბანდა). ღვდელი დაუცდის, ნიკოლოზას ერთი თათარი ფეხქვეშ ამოუდვია, მეორე თათარს კი ის დაუჭერია. წამომდგარა ნიკოლოზა, თავისი კომბალი შემოურტყია და კბილები ჩაუმტვრევია. ამაზე არის ლექსი:

ე ჩვენი ზველელი ღვდელი
ცოტა ჰყავდა ცხენი ნელი,
რა გადავა ყანნი დარას
დაუხვდება ძველი მტერი,
მტერს რო თვალი გადაჰკრა,
შრალათ ეცვალა ფერი,
რომ უჩვენა ყამის წვერი,
მანათი ჩვენა ჭრელი.[4]

*ჩაწერილია ილია მაისურაძის მიერ, 1937 წელი, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი N3139*

1 ბანდა
2სალამი

3 იგივე ბანდა

4 ლექსის გაგრძელება მთქმელს აღარ ახსოვდა

## „ლოჟკო, ვრ ლოიკრგები!“

***

რა ტყუილად დავამთავრე
სამი სასწავლებელი,
ის დრო აღარ დაბრუნდება
ჭკუის მასწავლებელი.

ვხედავ, ჩიხში გაჩხერილა
ჩემი მატარებელი,
შენი გულიც გაფრენილა –
ჩემი მასწავლებელი.

***

შენგანა ვარ საყვარელო
ძვლების გროვა, სასჯელი,
არ დამზოგე, მესროლე და
გულში მძიმედ დამჭერი.

ახლა რა ვქნა,
შევაღონო ჩემი გამჩენი?
აღარა ვარ სამოთხეშიც
მარტო დამრჩენი.

***

მოდი, უნდა ჩაგიტარო
სიყვარულის გაკვეთილი,
შენს გამოა ჩემი გული
უმოწყალოდ დაკოდილი.

ეს შენ გადამატანინე,
ამოდენა ქარტეხილი,
შენს გამო ვარ საყვარელო,
ნაკუწ-ნაკუწ აჩეხილი.

შენთან მოსასვლელი ხიდი
მოველ, დამხვდა ჩატეხილი,
მაინც შენი იმედი მაქვს,
გული არ მაქვს გატეხილი.

***

გათენდება, დაღამდება,
სულ შენ გიხსენებ,
სანამ ჩემი არ გახდები,
ვერ მოვისვენებ.
ღმერთო, ერთსაც გეხვეწები,
თუ დამიჯერებ,
სასიდედრო დამიწყნარე,
ცუდად მიხსენებს,
სამოთხეში თუ წაიყვან
იქ მოისვენებს.

ავტორ-მთქმელი
*ზეზვა ბიბილაშვილი*,
სოფელი იდუმალა

**ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა**

## ახალი წიგნები

ახლახან ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ბევრი საინტერესო წიგნებით შეივსო, მათ შორის:

*ოქსფორდის საერთაშორისო სასკოლო ატლასი (ქარჩხაძე);

*საქართველოს ფიზიკური რუკა (პოლიტიკურ-ადმინისტრაციული) – საქართველოს მაცნე;

*ადაპტირებული – დანიელ დეფო – რობიზონ კრუზო (ინგლისურად) – საქართველოს მაცნე;

*ადაპტირებული – კიპლინგი – მხოლოდ ზღაპრები (ინგლისურად) – საქართველოს მაცნე;

*ადაპტირებული პინოქიო (ინგლისურად) – საქართველოს მაცნე;

*ადაპტირებული – უფლისწული და მათხოვარი (ინგლისურად) – საქართველოს მაცნე;

*ადაპტირებული – ჯეინ ეარის ბავშვობა (ინგლისურად) – საქართველოს მაცნე;

*მერვე სიცოცხლე – ნინო ხარატიშვილი ბრილკას;

*გახდი ბესტსელერის ავტორი – გვანცა გუბელაძე –შულამელი გოგონები – პალიტრა;

*გახდი ბესტსელერის ავტორი – ნანი მანველიშვილი – ოდისევსის სინდრომი – პალიტრა;

*გახდი ბესტესლერის ავტორი – ნათია ჯანგოდნიშვილი – ცდუნება – პალიტრა;

*საქართველოს გეოგრაფიული ატლასი – პალიტრა;

*უილიამ ფოლკნერი – დაუმარცხებელი – არტანუჯი;

*უილიამ ფოლკნერი – ველური პალმები – არტანუჯი;

*საქართველოს ისტორია. ოთხტომეული – პალიტრა;

*აკაკი ბელიაშვილი – თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. ნაწ. I, II, III – საქართველოს მაცნე;

*ბიბლია – პალიტრა-L;

*ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონები – გვარჯალაძე – საქართველოს მაცნე;

*საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე – დამხმარე სახელმძღვანელო (მურღულია, ალიბეგაშვილი, მაღლაფერიძე – საქართველოს მაცნე;

*ნოდარ დუმბაძე – I, II, III, IV, V ტომები;

*ოტია იოსელიანი – დაჩის ზღაპრები – საქართველოს მაცნე;

*ხალიდ ჰოსეინი – მთებმა მთებს უთხრეს – არტანუჯი;

*ხალიდ ჰოსეინი – ათასი მოელვარე მზე – არტანუჯი;

*ხალიდ ჰოსეინი – ფრანით მორბენალი – არტანუჯი;

*სერია – ცნობილი ხუთეული – I, II, III,IV, V, VI, VII, VIII, IX ტ-ები;

*სერია – მე მიყვარს კითხვა – მაინ რიდი. კვარტერონი – 12 წელი – ელფი;

*ედიშერ ყიფიანი – I, II ტომები – საქართველოს მაცნე;

*სასკოლო ბიბლიოთეკა უმცროს კლასელთათვის – ჰექტორ მალო – უსახლკარო;

*დათო ტურაშვილი – ჯინსების თაობა – სულაკაურის გამომც.:

*მოსწავლის ბიბლიოთეკა –ჟიულ ვერნი – თხუთმეტი წლის კაპიტანი – მისივ. გამომც.;

*დიდი ქართველები – I, II ტომები – პალიტრა;

*მიდი, დააყენე დარაჯი ჰარპერ ლი – მისივ. გამომც.;

*ჰარპერ ლი – ნუ მოკლავ ჯაფარას – მის. გამომც.;

*პატარა მაწანწალა – ჯეიმს გრინვუდი;

*მოსწავლის ბიბლიოთეკა – შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება – სულაკაურის გამომც.;

*მოსწავლის ბიბლიოთეკა – ბიჭი და ძაღლი და სხვა მოთხრობები – მის. გამომც.;

*ლიტერატურული ოდისეა – მონანიება – მის. გამომც.;

*მოსწავლის ბიბლიოთეკა – ჯადოსნური ქუდი – მის. გამომც.;

*აკა მორჩილაძე – ობოლე – მის. გამომც.;

*აკა მორჩილაძე – ქართული რვეულები – მე-19 საუკუნის სურათები – მის.გამომც.;

*აკა მორჩილაძე – ჩრდილი გზაზე – მის. გამომც.;

*აკა მორჩილაძე – მწერლებსა და წიგნებზე – მის. გამომც.;

*ქართველი მეფეები – XXI, XXII, XXIII,XXIV, XXV, XXVI, XXVII, XXVIII, XXIX, XXX – ტომები – პალიტრა;

*მოსწავლის არჩევანი – ბასკერვილების ძაღლი – VIII-IX კლ. მოსწავლეთათვის – პალიტრა;

*მოსწავლის არჩევანი – ბულგაკოვის მოთხრობები – VI-VII კლ. მოსწავლეებისათვის.

***ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება***

რედკოლეგია